

Shorena Shamanadze

შორენა შამანაძე

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Some Concepts of "Migration's Poetics" in Emigrant and Contemporary Diasporic Literature

„მიგრაციის პოეტიკის“ ზოგიერთი კონცეპტი ემიგრანტულ და თანამედროვე დიასპორულ მწერლობაში

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10902>

The idea of a “poetics of migration” is prevalent in contemporary literary studies. It suggests various research methods and strategies. The poetics of migration is marked by the intertwining of these literary forms with autobiographical elements and migration narratives, genre-linguistic hybridity, multilingualism, and the quest for belonging. Language is a key factor in the poetics of migration. Authors utilize multilingualism, code-switching, and hybrid forms to convey their complex migrant identity. Today, the "poetics of migration" is shaped by intercultural codes, influencing not only the themes and content of texts but also their aesthetics. In this instance, we present some concepts of migration's poetics, along with the similarities and distinctions between Georgian emigrant literature and diaspora literature.

Key words: migration, poetics, emigrant literature, diaspora literature

საკვანძო სიტყვები: ემიგრანტული, დიასპორული, პოეტიკა, ჰიბრიდულობა, იდენტობა

დღეს თითქმის ყველა ერი უკვე აქტიურად სწავლობს „სამშობლოს გარეთ“ შექმნილ მწერლობას ნაციონალური, პიროვნული თუ ფსიქოსოციალური კუთხით, სვამს ამ ტექსტების მშობლიური თუ მიმღები კულტურული სივრცისადმი მიკუთვნებულობის საკითხს.

ჩვენმა სამეცნიერო ჯგუფმა, თანამედროვე ინტერდისციპლინური თეორიების, მიგრაციის, კულტურის კვლევების და, რაც მთავარია, ქართული რელობის გათვალისწინებით, ერთმანეთისაგან გამიჯნა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ მიერ დაფინანსებული ორი პროექტის (2012-2015; 2018-2021) ფარგლებში შეისწავლა:

1) ქართული ემიგრაციული მენტალურ-ლიტერატურული სივრცე (XX საუკუნის 20-იანი წლებიდან 80-იან წლებამდე), რომლის სახელწოდებად დავტოვეთ **ქართული ემიგრანტული მწერლობა**.

2) ქართული დიასპორული მენტალურ-ლიტერატურული სივრცე (XX საუკუნის ბოლოდან დღემდე), რომელიც სხვადასხვა დეფინიციების გათვალისწინების შემდგომ ჩვენ მიერ იწოდება ამგვარად: **ქართული დიასპორული მწერლობა**.

ხოლო ეს ორი მიმართულება გავაერთიანეთ ტერმინით **(ე)მიგრაციული ლიტერატურა**.

გამოიყო (ე)მიგრაციული ლიტერატურული დისკურსისათვის დამახასიათებელი ასპექტები: იდენტობები (ნაციონალური, ინტერკულტურული, პიროვნული, ფსიქოსოციალური), იმაგოლოგია, მეხსიერებები, რომელთა ერთობლიობასაც ბოლო დროის სამეცნიერო ლიტერატურაში ეწო-

დება „მიგრაციის პოეტიკა“. ეს არის კრებითი დასახელება ყველა თეორიისათვის, რომლებიც მიგრაციას შეეხება. ცენტრში დგას სხვადასხვა კულტურის მიგრაციით განპირობებული შეხვედრა, ამით გამოწვეული ინტეგრაციული და ურთიერთგაგების პრობლემები ინტერკულტურულ საზოგადოებაში.

ამ ტერმინის ქართულ სამეცნიერო სივრცეში შემოდებისას ჩვენ ვეყრდნობით ევა ჰაუსბახერის მონოგრაფიას. მის პირველ ნაწილში აღწერილია ტრანსნაციონალური წერის სხვადასხვა თეორიული საწყისი თანამედროვე რუსულ (ე)მიგრაციულ ლიტერატურაში, რაც ნაშრომის მეორე ნახევარში ილუსტრირებულია ისეთი ავტორებით, როგორებიც არიან მარინა პალეი, მარია რიბაკოვა, იულია კისინა, ვლადიმირ კამინერი, ირინა არისტარხოვა და მიხაილ შიშკინი. ნაშრომი, უპირველეს ყოვლისა, ეხება თეზისს, რომ მიგრაციის შედეგად გახსნილი შუალედური და სატრანზიტო სივრცეები ხდება „ესთეტიკური ინოვაციის ნამდვილი ცენტრები“ (Hausbacher, 2008, p. 13).

მიგრაციის პოეტიკის თანამედროვე კვლევები მოწმობს: დღეს გოეთეს „Weltliteratur“-ის ცნება გაფართოვდა. მწერლობამ გადალახა ნაციონალური მოდელები, შექმნა გეოგრაფიული და თვისობრივი (მენტალური, თემატური და ენობრივი პრაქტიკები) თვალსაზრისით შეცვლილი ლიტერატურული სივრცე. ახალი „სხვა ლიტერატურის“ უმთავრეს მახასიათებლად იქცა კულტურათაშორისი ანუ „მესამე სივრცის“ (Third Space) არსებობა. აღსანიშნავია ამ სხვა სახის ლიტერატურის დეფინიციათა სიმრავლე (ინტერ/ტრანსკულტურული, მიგრაციული, პოსტმიგრაციული, მოძრაობის, ტრანსარეალური, ახალი „Weltliteratur“, ინტერკულტურულ-მიგრაციული და სხვა).

„სხვა“ ანუ (ე)მიგრაციული ლიტერატურა – ეს არის არა ნაციონალური ლიტერატურის საპირისპირო, არა ოპოზიცია, არამედ (ე)მიგრანტების ლიტერატურა ნაციონალური ლიტერატურის შიგნით. ამ ლიტერატურისადმი მიკუთვნებულობა განისაზღვრება არა მხოლოდ ავტორის პერსონალური მონაცემებით, არამედ გამომდინარე ტექსტებიდან, ანუ ნაციონალურ ლიტერატურაში „სხვა“ ლიტერატურის მოძიების შედეგებიდან. ეს ლიტერატურა „სხვა“ არის იმიტომ, რომ მშობლიური ქვეყნის მცხოვრები (ე)მიგრანტის პერსპექტივიდან წარმოდგენილი და აღქმულია, როგორც უცხო. ეს საშუალებას აძლევს ადგილობრივ მცხოვრებს, რომ მისთვის უჩვეულო უცხო სურათს მიეახლოს და მისი საშუალებით შექმნას საკუთარ თავზე ახლებური წარმოდგენა ახლებური პერსპექტივიდან. „სხვა“ ანუ (ე)მიგრაციული ლიტერატურა დღეს პრობლემატურია, რადგან სხვაგვარობას უსვამს ხაზს და განსაკუთრებულ რეცეფციას მოითხოვს.

(ე)მიგრაციული ლიტერატურა დღეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი, რომელსაც გააჩნია თავისი ესთეტიკა, წერის თავისი მანერა, რომელიც არის ინტერ/ტრანსნაციონალური და გამოიხატება განსაზღვრულ ლიტერატურულ ფორმებში, ამიტომაც არის ამ ინტერ/ტრანსნაციონალური ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი.

მიგრაციის პოეტიკის თვალსაზრისით, (ე)მიგრაციული ლიტერატურა არა მხოლოდ ტექსტების თემატური ჯგუფია, არამედ ეს ტექსტები ხასიათდება სპეციფიკური თავისებურებებით, როგორებიცაა, მაგალითად, „მრავალპერსპექტიული თხრობის სტილი, სივრცესა და დროში ახალი ლოკალიზაცია [ან] მრავალენოვნების სხვადასხვა ფორმები“ (Hausbacher, 2009, p. 111). მიგრაციის პოეტიკის განსაკუთრებული მახასიათებელია ამ ლიტერატურული ფორმების კომბინაცია ავტობიოგრაფიულ ელემენტებთან და მიგრაციულ ნარატივებთან (Hausbacher, 2009, p. 111). კითხვაზე, იმსახურებს თუ არა (ე)მიგრაციული ლიტერატურა განსაკუთრებულ სტატუსს თავისი „განსხვავებულობით“, შეიძლება ითქვას, რომ ამ ლიტერატურის მიგრაციული პოეტიკა რეცეფციაში ვლინდება და იქმნება ინტერკულტურული კოდების საფუძველზე, რაც განსაზღვრავს ტექსტების არა მხოლოდ თემატიკასა და შინაარსს, არამედ მის ესთეტიკასაც: „ახალმა მსოფლიო ლიტერატურამ, გარდა მრავალენოვანი და გლობალიზაციურ-მიგრაციული შინაარსისა, ეს უნდა ასახოს ნარაციისა და პოეტიკის სტრუქტურულ დონეზეც“ (Ottmar Ette).

სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების შესწავლის საფუძველზე ჩვენ შევიმუშავეთ და ჩვენს მონოგრაფიას ლექსიკონად დავურთეთ ყველა ის ცნება და მათი განმარტება, რაც უკავშირდება მიგრაციის პოეტიკას. ამ დროს ვეყრდნობოდით კრისტინა ჰოფერის მიერ 2014 წ. გამოცემულ გლოსარს ამ კვლევითი სფეროს მეთოდოლოგიური ტერმინებისა და კატეგორიების შესახებ, რომელიც

შეიმუშავეს ზაარლანდის უნივერსიტეტის ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრატურის სტუდენტებმა პროფ. დოქტორ კრისტიანე ზოლტე-გრესერის ხელმძღვანელობით 2012/13 წლის ზამთრის სემესტრში ჩატარებული სემინარის "მიგრაციის პოეტიკა" ფარგლებში (Poetiken der Migration. Ein Glossar).

ამჯერად გთავაზობთ მიგრაციული პოეტიკის რამდენიმე კონცეპტს, ასევე მსგავსება-განსხვავებებს ქართულ ემიგრანტულ და დიასპორულ მწერლობებს შორის.

1. **თემატიკა.** ლიტერატურული ტექსტი, როგორც სოციოკულტურული სივრცე, ასახავს იმ მნიშვნელოვან პროცესებს, რაც ავტორის ირგვლივ გლობალურად და ლოკალურად მიედინება. როგორია ლიტერატურა მიგრაციაში? როგორია ცხოვრება დევნილობაში ან არალეგალურად ყოფნა საზღვარგარეთ? კულტურული კონფლიქტი, უცხოობა, ძალადობის გამოცდილება და გადატანა, ენობრივი პრობლემები მიგრაციის თანმდევი პროცესებია. მიგრაცია ხშირად გამოკვეთს ისეთ პრობლემებს, როგორებიცაა კულტურისადმი მიკუთვნებულობა, ბიკულტურალობა თუ მულტი-კულტურალობა, ბილინგვიზმი თუ მულტილინგვიზმი, ასევე ისეთი ფსიქოსოციალური ასპექტები, როგორებიცაა კულტურული ადაპტაცია, ენობრივი და რელიგიური ფაქტორები.

აღსანიშნავია, რომ მიგრანტების ერთი ნაწილისათვის ლიტერატურული ტექსტის შექმნა იქცევა ნოსტალგიური გრძნობების, ეროვნული, მენტალური, კულტუროლოგიური სახის თავისებურებების გამოვლენის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ. ამდენად, (ე)მიგრაციული ლიტერატურა მკვეთრად მარკირებულია, სადაც ასახულია საკუთარი თავის ძიება და თვითნაალიზი, ერთგვარი ალტერნატიული გამოსავალი ან გამოსავლის გზების ძიება და მოიცავს თემებს, როგორებიცაა: იდენტობა, სამშობლოს დაკარგვა, კულტურული იდენტობა და მრავალჯერადი მიკუთვნებულობა, სამშობლოს დაკარგვა და ახალი სამშობლო, ენის შეცვლა და ენათა აღრევა, კულტურული ზღვრული სივრცეები („შორის ყოფნა“ In-Between), გაქცევა, ექსილი, ინტეგრაცია, გახსენება და ისტორია.

მიგრაციის პოეტიკაში ბიოგრაფიულად განპირობებული ინტერკულტურული კონსტელაცია მოცემულია არა მხოლოდ როგორც ტექსტების საგანი, არამედ როგორც ნარატოლოგიური პროდუქტი. ხშირია ტოპოგრაფიული აქცენტირება, მობილობის თემატიზირება და ლიტერატურულ სივრცეთა, მოგონებების ლანდშაფტთა შექმნა.

ჩვენ განვასხვავებთ ჩვენ მიერ გამოკვლეულ ახალ დიასპორულ ლიტერატურას XX ემიგრაციისა და გადასახლების ლიტერატურისგან, უპირველეს ყოვლისა, ნებაყოფლობითობის მომენტის გამო, ასევე ახალი, უფრო დიდი თემატური და ფორმალური ვარიაციის მქონე ლიტერატურული ტენდენციების გამო, რომლებიც უპირატესად ქართულ ლიტერატურულ ტრადიციაზე ორიენტირებული კი აღარ არის, არამედ წარმოაჩენს ინტერ/ტრანსკულტურულ რეალობას. ახალი დიასპორული ლიტერატურისთვის დამახასიათებელი „შორის ყოფნა“ ანუ „In-Between“ რეალურად განსხვავდება დაკარგულ სამშობლოზე ორიენტირებული ან გადასახლებულთა ბედის თემატიზაციისკენ მიდრეკილი ემიგრანტული ლიტერატურისგან.

XX საუკუნის მწერალ-ემიგრანტთა შემოქმედება რჩებოდა ნაციონალურ ჩარჩოებში და, ამდენად, აგრძელებდა ქართული ტრადიციული მწერლობის ტენდენციებს. იქმნებოდა XX საუკუნის ემიგრანტული მწერლობის უმთავრესი მახასიათებელი – ნაციონალურ-პოლიტიკური თემატიკა.

ემიგრანტი მწერლისათვის მნიშვნელოვანი იყო სულიერი პრობლემების დრამატიზება, პატრიოტიზმი, წარსულის იდეალიზაცია, ნოსტალგია, ტრავმული ცნობიერება, რესენტმენტი, პოლიტიკური თემატიკა, ანტიტოტალიტარული და ანტისაბჭოთა მოტივები. ჟანრებს შორის ჭარბობდა პოეზია და ბელეტრისტიკა.

XX საუკუნის ემიგრანტული, ნაციონალურ-პოლიტიკური სივრციდან მწერლობა თანდათანობით გადის ინტერკულტურულ-სოციალურ სივრცეში.

ამ სპექტრში აშკარად იკვეთება პოზიციის: ნაციონალური იდენტობის დაცვის ნაკლები სურვილი და მცდელობა, სამშობლოს ნაკლები იდეალიზაცია.

თანამედროვე დიასპორულ ლიტერატურაში დომინანტი ხდება ინტერკულტურული/სოციალური თემატიკა – თანამედროვე ქართული რეალობის სოციოპოლიტიკური გამოწვევები. მისი თემატიკა ბევრად უფრო მრავალფეროვანია: მიგრანტების სოციალიზაცია და პიროვნების ფორმირების პრო-

ცესები მიგრაციის პირობებში; კომუნიკაციის კულტურათაშორის პროცესები და უმცირესობის თვითორგანიზაციის პროცესები; ეგნიზაცია და მულტიკულტურაცია; განსხვავება „თავისა“ და „სხვას“ შორის; საგანმანათლებლო პროცესების ორგანიზება მიგრაციის პირობებში; მასწავლებლის (ან სხვა ავტორიტეტული პიროვნების, მაგალითად, რელიგიური მოღვაწის) როლი მიგრანტის სოციალიზაციასა და აკულტურაციაში; წინააღმდეგობა ახალი კულტურის მოთხოვნებსა და მიგრანტის საკუთარ გამოცდილებასა და მოთხოვნებს შორის; ბი და პოლილინგვიზმი; ლიტერატურული შემოქმედება, როგორც თავისებური შუამავალი პიროვნების სოციალიზაციის, აკულტურაციის, ჩამოყალიბების, შექმნების პროცესში.

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ნაღველი სამშობლოზე, თუმცა ხშირ მიმოსვლაში მათ უკვე აღარ იციან რა უნდათ, სად უნდათ. ეძებენ რაღაც მშობლიურს ან იმას, რასაც მშობლიურივით შეიყვარებენ. ზოგჯერ შეგნებულად ცდილობენ წაესულის დავიწყებას და ამას თვლიან უცხო ქვეყანაში წარმატებული ინტეგრაციის პირობად. თუ მოგონებები ჭარბობს, მეტია მარტოსულობა და დაჩაგრულობა. ძალიან ბევრი ცხოვრობს მხოლოდ მოგონებებით, რაც უფრო მეტად აგრძნობინებთ მათ დევნილობას და არ აძლევს მათ საშუალებას თავი იგრძნონ ამ უცხო ქვეყნის მოქალაქეებად; ხშირია კონფლიქტები ადგილობრივებსა და ემიგრანტებს შორის, რაც გამოიხატება უფრო კულტურაში, წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებში. ხშირად ეს სიტუაცია აღწერილია იუმორით; ენობრივი სიმწელებები. უცხო ენა მათ აშინებს: არ დაკარგონ თავიანთი ტრადიციები ან შეცდომით არ ილაპარაკონ, ეს აძლიერებს მარტოსულობის შეგრძნებას, ხოლო ორი ენის ფლობისას მათ უკვე აღარ აქვთ „ნამდვილი სამშობლოს“ განცდა. ხშირია გლეხური ცხოვრების თემა. პერსონაჟი ცხოვრობს გარეუბანში ან სოფელში. ბუნება უცვლის მას მისთვის მიუღებელ უცხო საზოგადოებას და ეს მნიშვნელოვანია.

მარტოობის თემა გადაიკვეთება უაზრობის თემატიკასთან, ანუ ესაა უკონტაქტობა არა მხოლოდ უცხოსთან, არამედ ზოგადად ადამიანებთან, თუმცა ქართველი მწერლებისათვის ეს არაა ძირითადი. მათი პერსონაჟებისათვის ინტექრაცია – ესაა რეალობა.

(ე)მიგრაციულ ლიტერატურაში არის საბავშვო, ბავშვთა აღზრდის თემატიკა, უცხო სამყაროში მოხვედრილი ბავშვის აღზრდა, იმ ბავშვისა, რომელიც ცდილობს მონახოს საერთო ენა უცხოელ ბავშვთან. მისი კონფლიქტი მშობლებთან.

2. თანაცხოვრებათმცოდნეობა¹: ოტმარ ეტე ამ ცნებით წამოწევს ლიტერატურის (მეცნიერების) და ლიტერატურისგარეთა სამყაროს ურთიერთგადახლართულობისა და მათ შორის ინტერაქციის პრობლემას. რეალობასა და ფიქციას შორის არსებული წინააღმდეგობები ურთიერთქმედებებში წყდება. ამის შედეგად იქმნება თავისუფალი სივრცეები წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის, რომლებშიც გამოიცდება თანაცხოვრება ან შეგვიძლია დავაკვირდეთ ამ თანაცხოვრების განადგურებას. „თანაცხოვრებათმცოდნეობა“ აღწერს არა იდეალურ მდგომარეობას, არამედ კონცენტრირდება ადამიანთა მოძრაობის ისტორიებზე, რომლებიც განაპირობებს როგორც ნგრევას, ასევე დინამიკურ მიმოცვლას ან კრეატიულ შემოქმედებით პროცესს. წარმატებული თანაცხოვრება გაგებულია არა იმდენად იდენტურობის, რამდენადაც განსხვავებულობის კონცეპტიდან გამომდინარე (Ette, 2010).

უცხო მიბმულია იდენტობაზე, საკუთარი კულტურითაა დაღდასმული. იდენტობასა და განსხვავებულობას შორის დამოკიდებულება თითქმის ყოველთვის იერარქიულია: უცხო არის დაკნინებული, გარიყულია, რათა ამ გზით გაამყაროს საკუთარი იდენტობა. ეს დამოკიდებულება ამბივალენტურია: თან არ იღებს, თან აღფრთოვანებულია უცხო გარემოთი, თან უნებურადაც იღებს.

XX საუკუნეში ასე არ იყო. ემიგრანტული ლიტერატურა ამჟღავნებს გარემომცველი სამყაროს სრულ მიუღებლობას და გამსჭვალულია „დაკარგულ სამოთხეში“ დაბრუნების სურვილით.

3. ჟანრობრივ-ენობრივი ჰიბრიდულობა: დაისმის კითხვა, რომელი კონკრეტული ლიტერატურული ფორმები, მეთოდები და ნარატოლოგიური სტრატეგიები ან გარკვეული ჟანრები, სპეცი-

¹ Zusammenlebenswissen (თარგმანი გერმ.)

ალური თემები, მოტივები და ტოპოსები თუ რიტორიკული საშუალებები ახასიათებს მიგრაციის პოეტიკას?

მაგალითად, ჟანრობრივ მახასიათებლებზე გავლენას ახდენს ემიგრაციის მიზეზები, ტიპი.

XX საუკუნის ემიგრანტული მწერლობის ტრავმულობა, ნოსტალგია უფრო მეტად პოეზიის საშუალებით გადმოიცემოდა, ლექსი იქცა კულტურული მეხსიერების, ნაციონალური იდენტობის შენახვის ყველაზე მოქნილ საშუალებად. რომანის ჟანრი აქ ნაკლებად განვითარდა. იქმნებოდა ავტობიოგრაფიული, ბიოგრაფიულ-მემუარული ტექსტები, მხატვრულ-დოკუმენტური პროზა.

პოლიტიკური დევნილობის ტრაგიზმმა, „ანტისაბჭოთა იდენტობამ“ დიდად გაზარდა პუბლიცისტიკისა და ეპისტოლარული ჟანრის მასშტაბები.

თანამედროვე დიასპორულ ლიტერატურაში დომინანტური გახდა მხატვრულ-დოკუმენტური, დოკუმენტური ჟანრები. ტრავმის ნაკლებობისა და ცვალებად გარემოსთან მეტი ადაპტაციის გამო ნაკლებია გახსენებები, მოგონებები, განსხვავებულია პუბლიცისტიკის სახეობანი. ზოგიერთი ჟანრი ახალ განზომილებას ითავსებს, შესამჩნევია ზოგიერთი ლიტერატურული ჟანრის ცვლილება ან პერმანენტული გააქტიურება, არსებობს შერეული ჟანრები, მიმდინარეობს კლასიკური ჟანრების – კლასიკური თხრობის თანამედროვე დეკონსტრუქციები.

მაგალითად, ბიოგრაფიულ-მემუარული რომანი იქცევა ეთნოგრაფიული ქცევების რომანად, მიგრაციული გარემოს „პირმშოა“ ე.წ. სტენოგრაფიული რომანი, ლაკონური ტექსტები (მოკლე ფორმატის გამო ისტორია გადმოიცემა პერსონაჟთა ქცევებით და დიალოგებით). სამოგზაურო ჟანრმა განავითარა ქვეკატეგორიები, კერძოდ, „გადასახლებულის წერილობა“ მოგზაურობის ობიექტური აღწერილობის ნაცვლად სუბიექტური, შეფასებითი დაკვირვება, ან ვიღებთ ცალსახად დოკუმენტურ ნაშრომს, რომელშიც ასახულია განსხვავებული გამოცდილებები, დაკვირვებები სხვადასხვა მენტალიტეტზე (შამანაძე, 2024, გვ. 338).

XXI საუკუნის ქართულ დიასპორულ მწერლობაში საოჯახო ნარატივის (ქანრული გამოხატულებაა საოჯახო რომანი/საგა, ბიოგრაფიული და ავტობიოგრაფიული რომანები, ავტოფიქცია, რომანი-ეპოპეა, რომანი-მდინარე, თაობათა რომანი და სხვა) გაძლიერებას თავისი მიზეზები აქვს.

ოჯახის ინსტიტუტი ერთ-ერთ ყველაზე უნივერსალურ კულტურულ ინსტიტუტს წარმოადგენს, მით უმეტეს ქართული რეალობაში. ქართული ნაციონალური მენტალობის კოლექტივისტური კოდური სისტემა კიდევ უფრო ამყარებს ოჯახის ინსტიტუტს და ამ ფენომენს მნიშვნელოვნობა, მობილობას, სიცოცხლისუნარიანობას უნარჩუნებს დღევანდელ გლობალურ, მიგრაციულ პროცესებშიც.

საოჯახო ნარატივი დღევანდელმა მიგრაციებმა და ამასთან დაკავშირებულმა სხვადასხვა ხედვამ, პრობლემებმა – თუნდაც ოჯახის ინსტიტუტის რღვევა – ნაციონალური ნარატივისაგან განსხვავებით, ახალი ფუნქციებით და განსხვავებული თემატიკით დატვირთა. ოჯახური რომანში მნიშვნელოვნად იქცა სხვადასხვა თაობათა მიერ ამა თუ იმ ფაქტის განსხვავებული აღქმა, ემიგრანტის მიკრო და მაკროსამყაროს წარმოჩენა.

ამ ტექსტებში ნიშანდობლივია განსხვავებათა პედალირება და, შესაბამისად, გამოცდილებათა ესთეტიური გამოსახვა.

თანამედროვე დიასპორულ მწერლობაში არა პოეზია, არამედ საოჯახო ნარატივი იქცევა კულტურული მეხსიერების რეპრეზენტაციების მნიშვნელოვანი მექანიზმად.

ამ ჟანრის სპეციფიკის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია ამ ჟანრის დასახელების პირველი სიტყვის სემანტიკა – საოჯახო. ეს ასპექტი გულისხმობს ნაწარმოებთა თავისებური პრობლემატიკის, სიუჟეტურ-ფაბულურ მხარეთა, ასევე დროისა და სივრცის კატეგორიათა შესწავლას. პრობლემატიკის კონტექსტში შეიძლება აღინიშნოს, რომ საოჯახო რომანი იკვლევს (განსხვავებული ხარისხით) ოჯახის ტრადიციებს, მის მიკროკლიმატს, მამათა და შვილთა პრობლემებს, ამ ჟანრში ჩართულია აგრეთვე ოჯახის კონფლიქტთა და სოციალურ კავშირთა შესწავლა (ინდივიდისა და საზოგადოების პრობლემა ამ ჟანრის უშუალო პრეროგატივად არ ითვლება, თუმცა აქაც გვხვდება).

სხვადასხვა წყაროს შეჯერების შედეგად შეიძლება გამოიყოს საოჯახო ნარატივის შემდეგი დამახასიათებელი ნიშნები:

თაობათა ცვლა შესაბამისი ისტორიული ეპოქების კონტექსტში; ისტორიული ეპოქა კი წარმოდგენილია პირადი ცხოვრების კონტექსტში. ჩვეულებრივ, სამი თაობა მონაწილეობს ხოლმე. ზუსტი ქრონოლოგიისა და ხაზოვანი პრინციპის დაცვა დაცვა. რაც ტექსტში ფორმდება მოვლენათა დათარიღებით (თომას მანის „ბუდენბროკები“).

თავების დასათაურება იმ თაობასთან ყველაზე მეტად ასოცირებული გმირის სახელით (ნინო ხარატიშვილი).

რომანში რეალურად მომხდარი ამბების ჩართვა და დაკავშირება იმ ეპოქის გლობალურ მოვლენებთან (ნინო ხარატიშვილი). ძირითადად რეალისტური თხრობა, მაგიური რეალიზმის და ცნობიერების ნაკადის ჩართვებით;

(ე)მიგრაციული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ჟანრია ასევე **სამოგზაურო ლიტერატურა**. ის მოიცავს ტექსტებს, რომელიც აფიქსირებს და აღწერს მოგზაურობის მიმდინარეობას/პროცესს, შთაბეჭდილებებს. არ არსებობს ფორმალური ვალდებულებები (დღიური, წერილი); ყველაზე მნიშვნელოვანი და საყოველთაო მომენტი წერის პროცესის თემატიზირებაა. ესაა უძველესი ლიტერატურული ჟანრი და მას განვითარების ხანგრძლივი ისტორია აქვს (მაგალითად, ჰომეროსის ოდისეა, რომელიც წარმოაჩენს, რომ სამოგზაურო ლიტერატურა და მგზავრობის ანგარიში ერთი და იგივე არაა). ანტიკურ პერიოდში იქმნებოდა ე.წ. „იტინერა“ – მარტივი, ადგილმდებარეობაში საორენტაციო საგზაო რუკები არცთუ დეტალურად აღწერილი საგზაო სადგურებით (მაგ. Tabula Peutingeria მე-4 საუკ.). შუა საუკუნეების პილიგრიმული მოგზაურობების შედეგად შეიქმნა უცხო ქვეყნების ობიექტური აღწერები. მაშინ ჯერ კიდევ ერთდებოდნენ სუბიექტური მოსაზრებების გამოთქმას, რადგან ცნობისმოყვარეობა ცოდვად ითვლებოდა. მე-16 საუკუნეში ჯოვანი ბატისტა რომუზიომ თავის „დაკვირვების სახელმძღვანელოში“ მოგზაურებს მოუწოდა ზუსტი აღქმისკენ. ლორენს სტერნის ნაშრომში „სენტიმენტალური მოგზაურობა საფრანგეთსა და იტალიაში Sentimental Journeythrough France and Italy“ უკვე წინა პლანზე გამოდის მოგზაურთა ემოციებზე ფოკუსირებული აღწერილობები. ბიდერმაიერის ხანაში მოგზაურობის შთაბეჭდილებების გარდა თემატიზირებულ იქნა გადაადგილებათა საშუალებები. საუკუნეთა გასაყარზე წარმოიშვა სამოგზაურო ლიტერატურის ქვეკატეგორია, კერძოდ, ემიგრანტის (გადასახლებულის) წერილობა. ამით ეს ჟანრი გადავიდა მოგზაურობის ობიექტური აღწერილობიდან სუბიექტურ, შეფასებით დაკვირვებაზე.

რაც შეეხება ქართულ გამოცდილებას, დავასახელებდით ბესო ხვედელიძეს, რომელიც 2013 წელს გადასახლდა ნეპალში და ქმნის სამოგზაურო ჟანრის ნაწარმოებებს: „ნამასტე“ (2015), „გოა მშვიდობისა“ (2023) და სხვა.

4. მრავალენოვანება / მულტილინგვილური ლიტერატურა: მიგრაციის პოეტოკაში ენა მთავარ როლს თამაშობს. ავტორები იყენებენ მრავალენოვანებას, Code-Switching და ჰიბრიდულ ფორმებს, რათა გამოხატონ მრავალშრიანი მიგრანტული იდენტობა. მიგრაციის პოეტოკა ხასიათდება, ერთი მხრივ, უფრო ზოგადი თეორიული ცნებებით, როგორებიცაა რიზომატიკა (კულტურული წესრიგის მკაფიო ნიმუშებიდან და იერარქიებიდან გადახვევა), ფორიანობა (საკუთარ თავში უცხოს შეთვისება, რაც მსგავსი ფორმით აითვისეს ისეთმა თეორეტიკოსებმა, როგორებიც არიან კრისტევა, ბჰაბჰა, მარლატი და სხვა), მრავალფეროვნება („მრავალფეროვნების აღქმა და დაფასება მის ესთეტიკურ ფორმაში“ ვერნერ ვინტერშტელერი) და ვექტორულობა („ტრანსარეულ სივრცეებში შეღწევადობა და მობილიზაცია“) (Hausbacher, 2008). მეორე მხრივ, მის მთხრობელ ფიგურებს აქვთ მრავალი იდენტობა, რაც კორელაციაშია არასტაბილურობასთან, ხშირად საქმე გვაქვს შუამავალ მთხრობელებთან. ქრონოტოპის თვალსაზრისით, სივრცეები და დროები ერთმანეთშია გადაჯაჭვული, ენობრივი თვალსაზრისით კი ფიქსირდება ჰეტეროგლოსიისა და პოლიფონიის ტენდენცია. მიგრაციული მიგრაციის პოეტოკაში ხშირია სიჭარბე ისეთი ამბივალენტური ტროპებისა, როგორებიცაა ირონია, მიმიკა, პაროდია და გროტესკის სტილი, ასევე ავტო- და ჰეტეროსტერეოტიპებისა და ნაციონალური იდენტობის კორელაცია.

მულტილინგვიზმი აღწერს ზოგადად რამდენიმე ენაზე მწერალ ავტორს: (ა) განსაკუთრებით იმ მწერლებს რომლებიც მიგრაციის ან ლტოლვილობის გამოცდილების შესახებ წერენ როგორც მშობლიურ ენაზე, ისე უპირატესად „ახალ“ ენაზე, როგორც მაგ. მილან კუნდერა ან აგოტა კრისტო-

ფი, რომლებიც ჩეხეთიდან და უნგრეთიდან ფრანგულენოვან სივრცეში გაიქცნენ. (ბ) სწორედ (ენობრივი) უმცირესობებიდან წამოსულ ავტორებს აქვთ შანსი მულტილინგვური ლიტერატურით თავიანთი მკითხველთა წრე გააფართოვონ, თავიანთი ენის საზღვრებიდანაც კი. ამის მაგალითებს ვნახავთ აშშ-ს ესპანურამერიკულ მწერლებთან ('Spanglish') Rolando Hinojosa ან Gloria Anzaldúa, ასევე რეგიონალურ დიალექტებში, მაგალითად, საქსონურში ან ზაარლანდურში.

განსაკუთრებულ შემთხვევას ქმნიან მულტილინგვურად გაზრდილი მწერლები, მაგალითად, სამუელ ბეკეტი (1906-19890), რომელიც ირლანდიურ გარემოში იზრდება და მოგვიანებით საფრანგეთში და ფრანგულენოვან აფრიკაში ცხოვრობს. მსგავსი მაგალითები ვლინდება სახელმწიფოებში, სადაც რამდენიმე ოფიციალური ნაციონალური ან სახელმწიფო ენაა, მაგალითად, კანადა ან შვეიცარია. მულტილინგვური მწერლის განსაკუთრებული შემთხვევაა მწერალი, რომელიც თავის თავს თარგმნის. ხშირად ეს არა მარტო სხვა ენაზე უბრალო „გადატანაა“, არამედ ახალ ენობრივ და კულტურულ სივრცეს მორგებული ტექსტის „პერიფრაზი“.

რაც შეეხება ქართულ (ე)მიგრაციულ მწერლობას, ქართული ემიგრანტული ლიტერატურის ავტორები მიჟაჭულნი იყვნენ თავიანთ წარმოშობის ქვეყანასთან, არ ცდილობდნენ მიმღებ ქვეყანაში ინტეგრაციას, არ იცვლიდნენ ენას და წერდნენ მშობლიურ ენაზე.

მათგან განსხვავებით, თანამედროვე დიასპორული ლიტერატურის ავტორები ძირითადად ინტეგრირებულნი არიან მიმღებ ქვეყანაში და ზოგიერთი მათგანი უკვე მათ ენაზე წერს (მაგალითად, ნინო ხარატიშვილი, ლეო ვარდიაშვილი).

დასკვნის სახით ვიტყვი, ლიტერატურაში შესაძლოა გამოიხატოს არა მხოლოდ თემატიკისა და მოტივების, არამედ სხვადასხვა მხატვრულ-გამომსახველობითი ფორმების საშუალებით. ამიტომაც რეცეფციის დროს ჩნდება ინტერპრეტაციის უამრავი საშუალება და ასპარეზი. უფრო მეტიც: ტექსტებში ნიშანდობლივია განსხვავებათა პედალირება და, შესაბამისად, გამოცდილებათა ესთეტიური გამოსახვა. ანუ: ლიტერატურა ახდენს საკუთარი გამოცდილებების, აღქმების, სტერეოტიპული წარმოდგენების შესახებ რეფლექსიას, გადამოწმებებს, კითხვების დასმას, ილუსტრირებას.

მიგრაციის პოეტიკა გულისხმობს კვლევის განსხვავებულ მეთოდებსა და სტრატეგიებს, ხოლო საზღვარგარეთ შექმნილი ქართული მწერლობა (ემიგრანტული და დიასპორული) სრულად ასახავს როგორც მიგრაციული გამოცდილების ჩრდილოვან მხარეებს, ასევე მის შესაძლებლობებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- შამანაძე, შორენა. (2023). საოჯახო რომანი/საგა წიგნში: ლიტერატურული ჟანრები, ტ. 1, თბილისი, 327-367.
https://literaturatmcodneoba.tsu.ge/files/saxelmzgvanelo/literaturuli_janrebi.pdf
- Ette, Ottmar. (2010). *ZusammenLebensWissen. List, Last und Lust literarischer Konvivenz im globalen Maßstab* (Über Lebenswissen III). Kadmos, Berlin.
- Hausbacher, E. (2009). *Poetik der Migration. Transnationale Schreibweisen in der zeitgenössischen russischen Literatur*. (Stauffenburg Discussion; Band 25). Stauffenburg.
- Poetiken der Migration. Ein Glossar. https://www.uni-saarland.de/fileadmin/upload/lehrstuhl/solte-gresser/Dokumente/Forschung/Poetiken_der_Migration_Ein_Glossar.pdf

References:

- Ette, Ottmar. (2010) *Zusammen Lebens Wissen. List, Last und Lust literarischer Konvivenz im globalen Maßstab* (Über Lebenswissen III). Kadmos, Berlin.
- Hausbacher, E. (2009). *Poetik der Migration. Transnationale Schreibweisen in der zeitgenössischen russischen Literatur*. (Stauffenburg Discussion; Band 25). Stauffenburg.
- Poetiken der Migration. Ein Glossar. https://www.uni-saarland.de/fileadmin/upload/lehrstuhl/solte-gresser/Dokumente/Forschung/Poetiken_der_Migration_Ein_Glossar.pdf
- Shamanadze, Shorena. (2023). 'Saojaxo' romani/saga, In: Lit'erat'uruli janrebi. Tomi I. [Family novel/saga in the book: Literary Genres, Vol]. Tbilisi, 327-367